საბურავების 2015-2016 წლების კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი № 67

ქ.თბილისი **25 დეკემბერი, 2015 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ლევან რაზმაძე - სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბარაბაძე - სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

დავით ხუციშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ალექსანდრე ტაბატაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირმა ქავთარაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდეროკომისიისწევრი;

დავით ებრალიძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონსოლიდირებული ტენდერების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

2015-2016 წლების განმავლობაში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გამარჯვებულ მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ შესყიდვის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ილია ბეგიაშვილმა სატენდერო კომისიას გააცნო შემდეგი ინფორმაცია:

მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავების (თანმხლები მომსახურებით) 2015-2016 წლების CON150000026; CON150000034; CON150000039; CON150000041; CON150000042; CON150000048 და CON150000058 კონსოლიდირებულ ტენდერებში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა - შპს"თეგეტა მოტორსმა" და შემსყიდველმა ორგანიზაციებმა სატენდერო კომისიას მიმართეს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილების განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გაცემის თობაზე.

შემსყიდველი ორგანიზაციებისა და შპს „თეგეტა მოტორსის" მიერ სატენდერო კომისიის სახელზე წარმოდგენილი წერილებიდან ირკვევა, რომ ზემოხსენებული ცვლილებები შეეხება შპს „თეგეტა მოტორსის" მიერ კონსოლიდირებული ტენდერებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად მისაწოდებელი საბურავების ბრენდის/მოდელის დასახელებების ცვლილებას, კერძოდ:

CON150000026 ტენდერში R-16 215/70 ზომის საბურავებზე (320 ერთეული) "Starmaxx/W870"-ის "Petlas / W671"-ით ჩანაცვლება;

CON150000034 ტენდერში R17 215/45 ზომის საბურავებზე (28 ერთეული) „Starmaxx/W850"-ის „Petlas/W651"-ით, R17 225/55 ზომის საბურავებზე (110 ერთეული) „Starmaxx/W850"-ის „Petlas/ W651"-ით, R17215/55 ზომის საბურავებზე (52 ერთეული) „Rotalla/S210"-ის „Petlas/W651" -ით ჩანაცვლება;

CON150000039 ტენდერში R16 205/65 ზომის საბურავებზე (272 ერთეული) „Starmaxx/W850"-ის „Petlas / W651"-ით ჩანაცვლება;

CON150000041 ტენდერში R16 215/55 ზომის საბურავებზე (4 ერთეული) „Petlas/W651"-ის „Starmaxx/W850"-ით ჩანაცვლება;

CON150000042 ტენდერში R16 C 195/60 ზომის საბურავებზე (6 ერთეული) „Starmaxx/Prowin"-ის „Petlas/PT925"-ით ჩანაცვლება;

CON150000048 ტენდერში R15 C 215/70 ზომის საბურავებზე (8 ერთეული) „Starmaxx/Prowin"-ის „Petlas/PT925"-ით ჩანაცვლება;

CON150000058 – ტენდერში R16 255/70 ზომის საბურავებზე (20 ერთეული) „Starmaxx/INCURRO WINTER W870"-ის „Petlas / W671"-ით ჩანაცვლება.

შპს „თეგეტა მოტორსი“ 2015 წლის 21 დეკემბრის №1726 წერილში (თან ერთვის) განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ტენდერების ფარგლებში ცვლილებების მიზეზი გახდა ის, რომ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას შეიცვალა გარემოებები, რომლებიც შემსყიდველ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა და რომლის წინასწარ განჭვრეტა ან პრევენცია მისთვის შეუძლებელი იყო. კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებელმა ქარხანამ „Petlas Lastik San”-მა შპს „თეგეტა მოტორსს“ მისცა პირობა მის მიერ სატენდერო წინადადებაში დასახელებული ბრენდის/მოდელის - „Starmax“-ის სხვადასხვა ზომის საბურავებისა და „Petlas“-ის R16 215/55 ზომის საბურავების მიწოდების თაობაზე, მოგვიანებით მან შეწყვიტა აღნიშნული საბურავების წარმოება მითითებული დასახელებებით და „Starmax“-ის დასახელებით საბურავების ნაცვლად აწარმოა აბსოლუტურად იდენტური ხარისხის, პარამეტრებისა და ტექნიკური მონაცემების მქონე, იგივე ზომების საბურავები, დასახელებით - „Petlas”-ი, ხოლო R16 215/55 ზომის საბურავებზე „Petlas“-ის დასახელების ნაცვლად აწარმოა იგივე ზომის, აბსოლუტურად იდენტური ხარისხის, პარამეტრებისა და ტექნიკური მონაცემების მქონე საბურავები, დასახელებით - „Starmaxx“-ი. ამგვარ ცვლილებას მწარმოებელი ქარხანა ხსნის საბურავების ზემოაღნიშნული ბრენდების აბსოლუტური იდენტობით. საბურავების მწარმოებელმა ქარხანამ “Shandong Yongsheng Rubber”-მა კი დანაპირების მიუხედავად, აღარ განახორციელა შპს „თეგეტა მოტორსისათვის“ “Rotalla”-ს ბრენდის საბურავების მოწოდება, რომლის ნაცვლადაც გამარჯვებული მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციებს მიაწვდის იდენტური ხარისხისა და პარამეტრების მქონე „Petlas”-ის ბრენდის საბურავებს. შპს „თეგეტა მოტორსი“ განმარტავს, რომ აღნიშნული ცვლილებების შესახებ მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ საქონლის მიღების შემდეგ, რამაც ისინი ფაქტის წინაშე დააყენა და მომხდარის გამოსწირების თვალსაზრისით უძლურნი გახადა.

შპს „თეგეტა მოტორსმა“ წარმოადგინა ქარხანა მწარმოებლის, „Petlas Lastik San”-ისა და “Shandong Yongsheng Rubber”-ის ოფიციალური წერილები (თან ერთვის), რომლითაც დასტურდება, რომ შპს „თეგეტა მოტორსისათვის“, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ნამდვილად წარმოიშვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ისეთი გარემოებები, რომლის გამოც მან ვეღარ შეძლო ზუსტად იმ ბრენდის/მოდელის საბურავების მიწოდება, რაც მითითებული ჰქონდა სატენდერო წინადადებასა და შესყიდვის ხელშეკრულებებში. შპს „თეგეტა მოტორსმა ასევე წარმოადგინა მწარმოებლის ოფიციალური დოკუმენტები (თან ერთვის) ISO 9001, ISO 16949 და ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ გაცემულ ხარისხის დამადასტურებელ ECE სერთიფიკატებთან ერთად, საიდანაც დასტურდება, რომ წარმოდგენილი საბურავები სრულად შეესაბამება კონსოლიდირებული ტენდერებისა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ყველა ტექნიკური პარამეტრის მიხედვით (ზომა, სეზონურობა, ექსპლუატაციის პირობები, ტვირთდაწოლის კილოგრამები, სიჩქარის ინდექსი, საგარანტიო პირობები და ა.შ), აბსოლუტურად იდენტურია შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული საბურავებისა.

სატენდერო კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ავტოპარკისა და სახელმწიფო სტრუქტურების გამართული ფუნქციონირებისათვის კონსოლიდირებული ტენდერების შეუფერხებელ

განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ გამარჯვებულ მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ან კონსოლიდირებული ტენდერების შეწყვეტის შემთხვევაში, საჭირო გახდება ახალი კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარება ან საბურავების კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის გზით შესყიდვა, რაც თავისთავად, დამატებით საბიუჯეტო სახსრებსა და დროით რესურსებს საჭიროებს. ამასთან, ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად, შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის არ გაუარესდება ხელშეკრულების პირობები. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნული ტენდერებში „თეგეტა მოტორსი“ ერთადერთი მონაწილე იყო, რის საფუძველზეც შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ზომის საბურავების მოწოდების შესაძლებლობა და რესურსი სხვა კომპანიებს არ ჰქონდათ. სავარაუდოა, რომ ეს შესაძლებლობა მათ არ აღმოაჩნდებათ მიმდინარე ეტაპზეც, ვინაიდან ზამთრის საბურავების წარმოება დეკემბრის ბოლოსათვის ყველა ქარხანას უკვე დასრულებული აქვს. მხედველობაში მისაღებია ასევე ის ფაქტიც, რომ გარდა იმ საბურავებისა, რომლებსაც ზემოხსენებული ცვლილებები შეეხო, აღნიშნული ტენდერებით გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი ოდენობით სხვა ზომისა და ტიპის საბურავების შესყიდვა. ტენდერების შეწყვეტა გამოიწვევს ამ საბურავების მიწოდების შეწყვეტას და მათი შესყიდვის ალტერნატიული საშუალების მოძიებას, რაც დამატებით სახსრებსა და დროს საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გასცეს რეკომენდაცია CON140000026; CON150000034; CON150000039; CON150000041; CON150000042; CON150000048 და CON150000058 კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გამარჯვებულ მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ცვლილების განხორციელების თაობაზე, შპს „თეგეტა მოტორსის“ №1726 წერილში მითითებული ცვლილებების შესაბამისად.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. მცირე ტვირთამწეობის საბურავების 2015 - 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერების CON140000026; CON150000034; CON150000039; CON150000041; CON150000042; CON150000048 და CON150000058 ფარგლებში გამარჯვებულ მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციებსა მიეცეთ რეკომენდაცია გაფორმებულ ხელშეკრულებებში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ცვლილების განხორციელების შესახებ, თანდართულ შპს „თეგეტა მოტორსის“ N1726 წერილში ჩამოყალიბებული საბურავების ბრენდების/მოდელების ცვლილების შესაბამისად.

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.